დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დიპლომების სექტორი

1. ზოგადი დებულებანი
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომების სექტორი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლიბის შესაბამისად.

დებულება განსაზღვრავს დიპლომების სექტორის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

<u>ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი:</u>

1. თითოეული სტუდენტის დიპლომის გასაცემი საბუთების (დიპლომის ასლი, ბრძანების პროექტი) მიღება ფაკულტეტებიდან, მათი შემოწმება.
2. თითოეული დიპლომის მომზადება შემოსული საბუთების მიხედვით. ქართულ და ინგლისურ ენებზე.
3. ბრძანებების შემოწმება და ამობეჭდვა კომპიუტერით.
4. დუბლიკატის, გვარის შეცვლის, დიპლომში დაშვებული შეცდომის გამო ახალი დიპლომების შევსება.
5. ამობეჭდილ დიპლომებზე ხელმოწერების შესრულება დეკანის და რექტორის მიერ, ბეჭდების დასმა.
6. სრულყოფილი დიპლომების სარეგისტრაციო წიგნში გატარება და გადაცემა კურსდამთავრებულებზე.
7. სარეგისტრაციო წიგნების წარმოება.
8. ანგარიშსწორება ბუღალტერიასთან.

9. პასუხის გაცემა თითოეულ შეკითხვაზე, შემოსულზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და თავდაცვის სამინისტროდან.

განყოფილების სტრუქტურა

სექტორს ხელმძღვანელობს სექტორის უფროსი.

სექტორში არის ორი სპეციალისტი (სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად).

სექტორის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სექტორის უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

დასკვნითი დებულებები:

დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან სექტორის ლიკვიდაციის შემთხვევაში.